



# საქართველოში სამოქალაქო სექტორის ხელშეწყობა სამუვიდობო ინიციატივის სფეროში

სარეკომენდაციო დოკუმენტი

თბილისი, 2010 წლის აგვისტო



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

*პროექტი განხორციელდა*

**Ludwig Boltzmann Institute of Human Rights (BIM)**



**International Center on Conflict and Negotiation (ICCN) mier**



## შესავალი

ეს დოკუმენტი მომზადდა “ევროპული პარტნიორობის გაძლიერება კრიზისის თავიდან აცილებისა და რეაგირების მიზნით: საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო ინიციატივების მრგვალი მაგიდები” პროექტის მიერ და წარმოადგენს მისი განხორციელების ერთ-ერთ მთავარ სამუშაო შედეგს. პროექტი განხორციელდა და დაფინანსდა ევროკავშირის სტაბილურობის ინსტრუმენტის ფარგლებში, რომელიც ჩამოყალიბდა კავშირის მხრიდან მსოფლიო მასშტაბით კრიზისის პრევენციისა და კრიზისის მენეჯმენტის პოტენციალის გაზრდაზე მიმართული საქმიანობის დაფინანსებლად.

ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის (ახლა აღმოსავლური პარტნიორობის სახელწოდებით ცნობილი) ფარგლებში საქართველო ევროკავშირის პარტნიორი-ქვეყანაა 2006 წლიდან და მიისწრაფვის ევროკავშირსა და ევროპული უსაფრთხოების სტრუქტურებთან ახლო ინტეგრაციისაკენ. თუმცა, საქართველოს ჯერ კიდევ აქვს ტერიტორიული კონფლიქტები, რომელთა ძალადობრივი ესკალაცია 2008 წლის ზაფხულში მოხდა. როგორც ამ 2008 წლის აგვისტოს ომმა გვჩვენა, ევროპის კონტინენტზე კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის წარუმატებლობამ და, კერძოდ კი, მის ისეთ ცვალებად რეგიონებში, როგორცაა სამხრეთ კავკასია, საფრთხეს უქმნის არა მარტო ევროპის სტაბილურობას, ევროკავშირზე უარყოფითი შედეგების გავრცელების შესაძლებლობით, არამედ ხელს უშლის ევროკავშირის მიზანს, ხელი შეუწყოს აღმოსავლური პარტნიორობის ქვეყნებს, მიუახლოვდნენ ევროკავშირის დემოკრატიული მმართველობის სტანდარტებს.

პროექტის ლოგოა შესაბამისობაშია სტაბილურობის ინსტრუმენტის პროგრამულ პრიორიტეტებთან და აცნობიერებს, რომ კრიზისის პრევენციისა და რეაგირების პრაქტიკული გამოცდილება არასამთავრობო სექტორს აქვს. საქართველოში, ამ პოტენციალის სრულ გამოყენებას ხელს უშლის რამდენიმე ფაქტორი, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობის გამოცდილების არასაკმარისი ხილულობა, როგორც საქართველოს მთავრობისა, ასევე ქვეყანაში მომუშავე საერთაშორისო დონორების მხრიდან, სახელმწიფო და არასახელმწიფო მონაწილეებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა და უშუალოდ სამოქალაქო საზოგადოებაში დაინტერესებულ მხარეებს შორის სუსტი კავშირები.

ამიტომ, ეს პროექტი მიზნად ისახავდა ამ სისუსტეების გადალახვაზე და საქართველოში სტაბილური და “პოზიტიური” მშვიდობის დამყარებაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების გაძლიერებაზე მიმართული რეკომენდაციების მონახაზის მომზადებას. წინამდებარე სარეკომენდაციო დოკუმენტი საერთაშორისო ექსპერტებისა და საქართველოს სამოქალაქო სექტორის კრიზისის პრევენციისა, ნდობის აღდგენისა და შერიგების სფეროში უშუალოდ მუშაობის და კვლევების ჩატარების დიდი გამოცდილების მქონე ოცზე მეტი წარმომადგენლის ერთობლივი მუშაობის შედეგია. პროექტის პარტნიორებმა ჩაატარეს ორი მრგვალი მაგიდა (2010 წლის აპრილი და ივლისი), სადაც გაიმართა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის დისკუსია და რეკომენდაციების შემუშავება. ექსპერტების ძირითადმა ჯგუფმა დოკუმენტის სტრუქტურასთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა და მის დასრულებამდე მასზე მუშაობას გააგრძელა.

დოკუმენტის შესაბამის თავები მკითხველს სთავაზობს სამშვიდობო პროცესებში სამოქალაქო საზოგადოების ზოგადი ფუნქციის მოკლე აღწერას და, ამასთან ერთად, საქართველოს სამშვიდობო პროცესის კონტექსტში სამოქალაქო საზოგადოების ანალიზს. ასევე განხილულია სამშვიდობო პროცესების შვიდი პრიორიტეტული სფერო, რომელიც გამოიკვეთა პროექტის განხორციელების პროცესში და შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებისათვის, საქართველოს მთავრობასა და ქვეყანაში მომუშავე საერთაშორისო დონორებისათვის. ასევე ცალკეა გამოყოფილი ე.წ. „გამჭოლი რეკომენდაციები“, რომელიც თითოეულ პრიორიტეტულ სფეროს ეხება.

ვიმედოვნებთ, რომ წინამდებარე დოკუმენტი- საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში დებატებისა და თანამშრომლობის შედეგი- სასარგებლო იქნება მკითხველისათვის. რეკომენდაციების გავრცელებასთან დაკავშირებით პროექტის დასრულების შემდეგ საქართველოსა და ევროკავშირში გარკვეული ღონისძიებები უკვე დაგეგმილია.

# სამოქალაქო საზოგადოების რელევანტურობა სამშვიდობო პროცესებში

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა დღეს სამშვიდობო ინიციატივების კონტექსტში ყველაზე პოპულარული კონცეფციაა. ცოცხალი და აქტიური სამოქალაქო საზოგადოება განიხილება, როგორც ადამიანის უფლებების გარანტია და დემოკრატიის მნიშვნელოვანი ელემენტი. საერთაშორისო დებატებში სამოქალაქო საზოგადოების როლი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგება, საუბარია მხოლოდ იმაზე, თუ როგორ შეუძლია სამოქალაქო საზოგადოებას საუკეთესოდ განახორციელოს თავისი ღირებულებები წვლილის შეტანა. ამ ეტაპზე სამოქალაქო საზოგადოების ინტერვენციების შედეგები და მშვიდობაზე გავლენა არ შეფასებულა. ამ სფეროში სამოქალაქო საზოგადოების როლს ჯერ კიდევ აკლია ემპირიული მტკიცებულებები, რომელიც საჭიროა მისი რელევანტურობისა და ეფექტურობის შესახებ რეალური დასკვნის გასაკეთებლად.<sup>1</sup>

## სამოქალაქო საზოგადოების დეფინიცია

გარდა იმ ზოგადი იდეისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება არის “არაძალადობრივი კოლექტიური ქმედების ასპარეზი ერთობლივი ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების ირგვლივ”, სამოქალაქო საზოგადოების სხვა დეფინიცია არ არსებობს.<sup>2</sup> ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოება არის საჯარო ასპარეზი სახელმწიფოს, ბიზნესსა და ოჯახს შორის და შედგება ძირითადად მრავალი ნებაყოფლობითი ორგანიზაციისა და ასოციაციისაგან, რომლებსაც განსხვავებული მიზნები, ინტერესები და იდეოლოგია ახასიათებს. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს სხვადასხვა ორგანიზაციული სტრუქტურა და მონაწილეები ჰყავს, რომელთა ფორმალიზაციის, ავტონომიის და გავლენის დონე განსხვავებულია ხოლმე. აქ შესაძლებელია მოიაზრობდეს პროფკავშირები და რელიგიური ორგანიზაციები, ახალგაზრდული და ქალთა ორგანიზაციები, სამეზობლო კავშირები, პროფესიული ასოციაციები, სხვადასხვა სოციალური მოძრაობები, დიასპორები, კვლევითი და მეცნიერული ორგანიზაციები, დამოუკიდებელი მედია და ა.შ.<sup>3</sup> ამ დოკუმენტის მიზნებისათვის, გამოყენებულია ტანია პაფენჰოლცის დეფინიცია, რომელიც ტერმინს “სამოქალაქო საზოგადოება” იყენებს, როდესაც საუბრობს არასახელმწიფო ჯგუფების, ორგანიზაციების, ასოციაციების და მოძრაობების ზოგად კონცეფციასა ან საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობა არის სამოქალაქო საზოგადოების განმსაზღვრელი მახასიათებელი, სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფოსთან ახლო კონტაქტში და სახელმწიფოს მიერ დაწესებულ პარამეტრებსა და ჩარჩოებში ვითარდება. ძლიერ და დინამიურ სამოქალაქო საზოგადოებას სჭირდება ფუნქციური, მშვიდობიანი და დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც არ ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოების სივრცესა და თავისუფლებას შესაბამისი მიზეზის გარეშე.

## სამოქალაქო საზოგადოების ლეგიტიმურობა

სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო პროცესებში ჩართულობის აუცილებლობა უდაოა. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ფართო საზოგადოების საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ ინფორმაციის გადაცემა გადაწყვეტილებების მიმღებებისათვის და პირიქით, რაც უზრუნველყოფს კავშირს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის. თუმცა, ძალიან ხშირად, იშვიათი გამონაკლისების გარდა, სამშვიდობო პროცესებს არ გააჩნია ვერტიკალური კავშირი კონფლიქტის მხარესთან. ამიტომ, მნიშვნელოვანი კითხვა ასეთია: ვის წარმოადგენენ სამოქალაქო ორგანიზაციები და უჭერენ კი მათ მხარს უფრო დიდი ჯგუფები, რაც მათ დიდი ჯგუფის სახელით მოქმედების მანდატს მისცემდა, თუ ისინი ასეთი ნდობით აღჭურვის გარეშე იღებენ ამ მისიას თავიანთ თავზე.

<sup>1</sup> Assessing Progress on the Road to Peace: Planning, Monitoring and Evaluating Conflict Prevention and Peacebuilding Activities. GPPAC Issue Paper No. 5, 2008; and Thania Paffenholz (ed): Civil Society & Peacebuilding. 2010

<sup>2</sup> London School of Economics (LSE)'s Centre for Civil Society: [http://www.lse.ac.uk/collections/CCS/what\\_is\\_civil\\_society.htm](http://www.lse.ac.uk/collections/CCS/what_is_civil_society.htm)

<sup>3</sup> Paul Van Tongeren, Malin Brenk, Marte Hellema, Juliette Verhoeven (eds): People Building Peace II. 2005

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია: წარმოადგენს კი სამოქალაქო საზოგადოება მხოლოდ ზომიერ ჯგუფებს, რომლებიც ქადაგებენ სამოქალაქო ღირებულებებს, თუ ასევე მოიცავს მათ, ვინც მიეკრძალებულ, ძალადობრივ ან ფანატიკოსთა ფრთას ეკუთვნის.

კონფლიქტის წარმატებული ტრანსფორმირების მაგალითები გვიჩვენებს, რომ მდგრადმა გადაწყვეტილებამ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოების ყველაზე გაჭირვებული, მარგინალური პირების ინტერესები და უფლებები. მაშინაც კი, როდესაც სამოქალაქო საზოგადოება არ არის უკიდურესად პროფესიონალური და არაძალადობრივი, არასახელმწიფო სექტორის წარმომადგენლებს კონფლიქტის ტრანსფორმაციაში, მშვიდობის დამყარებაში და დემოკრატიის განვითარებაში სერიოზული როლის შესრულება მაინც შეუძლიათ. იმისათვის, რომ მათ საქმიანობამ სამშვიდობო პროცესს ხელი შეუწყოს და არა პირიქით, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მუშაობისას გარკვეული პრინციპები უნდა გაითვალისწინონ, როგორცაა ჩართულობა, არადისკრიმინაცია და თანამონაწილეობითი მიდგომა.

## სამშვიდობო პროცესის დეფინიცია

დღესდღეობით, სამშვიდობო პროცესის, როგორც მეთოდის, კონცეფციის ან მიდგომის დეფინიციასთან დაკავშირებით ერთიანი აზრი არ არსებობს. ტერმინს იყენებენ, როდესაც გულისხმობენ პრევენციული დიპლომატიას, განვითარებას, კონფლიქტის თავიდან აცილებას, გადაწყვეტას ან შემდგომ რეკონსტრუქციას. მისი ამოცანები მოიცავს მოკლევადიან საგანგებო დახმარებას, გრძელვადიან რეკონსტრუქციას, დევნილების დაბრუნებას, განიარაღებას, დემობილიზაციას, ყოფილი მეომრებისა და სხვა შეიარაღებული ჯგუფების რეინტეგრაციას, ადამიანის უფლებების აღიარებასა და არჩევნების ჩატარებას, ადმინისტრაციულ, სამთავრობო და სასამართლო სტრუქტურების ჩამოყალიბებას (კანონის უზენაესობის საფუძველზე) და ნებისმიერი სხვა ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავს სტაბილურობასა და შერიგებას.

*“სამშვიდობო პროცესი მიზნად ისახავს შეიარაღებული კონფლიქტის პრევენციას და მართვას, აგრეთვე მშვიდობის შენარჩუნებას ფართომასშტაბიანი ორგანიზებული ძალადობის დასრულების შემდეგ. მრავალგანზომილებიანი ცნებაა: ის მოიცავს ყველა საქმიანობას, რომელიც ამ მიზანთან პირდაპირ არის დაკავშირებული ხუთიდან ათი წლის განმავლობაში”<sup>4</sup>*

<sup>4</sup> Thania Paffenholz (Editor): Civil Society & Peacebuilding. A critical assessment. 2010

# სამოქალაქო საზოგადოების წვლილი სამშვიდობო და შემრიგებლურ პროცესებში

## სამშვიდობო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების შვიდი ფუნქცია

სამშვიდობო პროცესში სამოქალაქო საზოგადოების წვლილის კატეგორიზაციის მრავალი გზა არსებობს. ქვენევაში კონფლიქტების, განვითარების და მშვიდობის მშენებლობის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის პროექტი, რომელიც ცდილობდა დაედგინა სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ფუნქციები, რამდენიმე წინადადებით გამოვიდა:

1. მოქალაქეთა **დაცვა** ყველა მხარის მხრიდან ძალადობისაგან. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ადამიანების სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების დაცვაში წვლილის შეტანა, მაგალითად, სამშვიდობო ზონების, საერთაშორისო თანხლებისა ან ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინიციატივების განხორციელების გზით. დაცვის ეფექტურობა შეიძლება გაძლიერდეს მონიტორინგთან და ადვოკატირებასთან კომბინაციაში, ანუ, მედიის მეშვეობით დახმარების სტრატეგიისა გაშუქებითა და საერთაშორისო ქსელებთან თანამშრომლობით.
2. ადამიანის უფლებების და მშვიდობის დარღვევის **მონიტორინგი**. სამოქალაქო საზოგადოების მიერ მონიტორინგი მთავრობის მხრიდან ანგარიშვალდებულების ფუნქციის განხორციელებისათვის მეტად მნიშვნელოვანია, მაგალითად, არჩევნების მონიტორინგი და დაკვირვება, სახელმწიფო აპარატისა და მთავრობის საქმიანობის მონიტორინგი. მონიტორინგის ეფექტურობა შესაძლებელია გაუმჯობესდეს კიდევაც, თუ საქმიანობა ისეა დაგეგმილი, რომ აძლიერებს დაცვასა და ადვოკატირებას. მონიტორინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამშვიდობო შეთანხმებების განხორციელების დროს. დაცვის მსგავსად, ეროვნული და საერთაშორისო ქსელების ჩართულობა ეფექტურობას ხელს უწყობს.
3. მშვიდობისა და ადამიანის უფლებების **ადვოკატირება**. სამოქალაქო საზოგადოებას ძალუძს რეფორმების, საჯარო განათლების და მედია მობილიზაციის გარკვეული ასპექტების ადვოკატირება, სამშვიდობო პროცესის დისკუსიებისა და მოლაპარაკებებში სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის ლობირება ან ინტერესების (განსაკუთრებით მარგინალური ჯგუფების წარმომადგენლების) დაცვა. ეფექტურობა გაიზრდება მიზნობრივი მედია სტრატეგიებით და მედიასთან და საერთაშორისო ქსელებთან თანამშრომლობით.
4. სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე დიალოგის ფასილიტაცია. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია სამთავრობო ორგანოებში შევიდეს დამკვირვებლის სტატუსით, შეუძლია სხვადასხვა მონაწილეებსა და ჯგუფებს შორის შუამავლის ფუნქცია შეასრულოს ან საერთაშორისო საზოგადოების ინფორმაცია მიაწოდოს. ეფექტურობა შეიძლება გაიზარდოს მიზნობრივი ტრენინგების ჩატარებით (მაგალითად, თემთან შუამდგომლობის ტრენინგი დევნილების დაბრუნების მიზნით უფრო შედეგიანია, ვიდრე ტრენინგი ზოგადად შუამდგომლობის შესახებ).
5. მომსახურების გაწევა სამშვიდობო პროცესის ათვლის წერტილების შესაქმნელად. ამ ფუნქციას აქვს განსაკუთრებული ადგილი სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო პროცესების ფუნქციებს შორის. იგი განიზაზღვრება, არა როგორც რეალური ფუნქცია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უშუალოდ სამშვიდობო ინიციატივის საწყის წერტილებთან მივყავართ. მომსახურების გაწევას, შეიძლება ითქვას, ადამიანების დამაკავშირებელი უპირატესობა გააჩნია (მაგალითად, ერთობლივი ინტერესები, როგორცაა წყალი ან სხვა სათემო მომსახურება- ამის შედეგად შესაძლებელია მანამდე მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის კომუნიკაციის დამყარება და ნდობის ჩამოყალიბებაც კი).
6. სოციალიზაცია: მშვიდობისა და დემოკრატიის ღირებულებების განვითარებისა და ასევე მარგინალური ჯგუფების ინტეგრირების ხელშეწყობა. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ამ ფუნქციის ხელშეწყობა დიალოგისა და შერიგების ინიციატივის განხორციელების გზით, მშვიდობისა და ისტორიის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამებით რადიოს, ტელევიზიის და თეატრის საშუალებით, ასევე სასკოლო სახელმძღვანელოებში, გაცვლით პროგრამებსა და მშვიდობის ბანაკებში, მოლაპარაკებების ტრენინგებსა და ერთობლივი ხედვის ჩამოყალიბებაზე მიმართულ

სემინარებზე. ძალადობის არარსებობის გარდა, მნიშვნელოვანია გავლენიანი ადრეც არსებულ ინსტიტუციებთან მუშაობა, როგორცაა სკოლები ან ასოციაციები (მაშინაც კი, როდესაც ისინი აგრძელებენ განხეთქილების გადრმავებას). სოციალიზაცია, როგორც გრძელვადიანი პროცესი უფრო ეფექტურია, ვიდრე ცალკეული მოკლევადიანი საქმიანობა, რადგან ღრმა რადიკალური ჯგუფის შიგნით იდენტურობა ვერ დაბალანსდება იმ რამდენიმე ადგილობრივი ან ეროვნული არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივებით, როდესაც ისინი შესაბამისი ინსტიტუციების გარეშ ხორციელდება. მარგინალური ჯგუფების შიგნით სოციალიზაცია უფრო ეფექტურია, როდესაც ხორციელდება დელიკატურად და თავს არიდებს რადიკალიზაციას.

- 7. სოციალური ერთობა** მტრულად განწყობილი ჯგუფებიდან ადამიანების გაერთიანებით. სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია განახორციელოს კულტურული ინიციატივები და სამახსოვრო სამუშაოები. ეფექტურობა იზრდება, როდესაც მიზანი მდგომარეობს ადამიანების მნიშვნელოვანი საკითხის ირგვლივ შეკრებაში ქცევისა და არა დამოკიდებულების შესცვლის მიზნით. ეფექტურობისათვის ასევე მნიშვნელოვანია გრძელვადიანი ჩართულობა.

სამოქალაქო საზოგადოების შვიდ ფუნქციას შორის საზოგადოების მარგინალური ჯგუფების ინტეგრირება მნიშვნელოვანია.

სამოქალაქო საზოგადოების არსებობა თავისთავად და ავტომატურად მშვიდობას ხელს არ უწყობს. ფაქტიურად, აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების განხილვა არა მხოლოდ მონაწილე მხარეების კუთხით, არამედ გასათვალისწინებელია სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო პროცესში მრავალი პოტენციური ფუნქცია. ეს ფუნქციები განსხვავდება კონფლიქტის ეტაპების/სხვადასხვა ფაზების მიხედვით; კონფლიქტის სხვადასხვა ეტაპზე და გარკვეულ ვითარებაში მნიშვნელოვანია შესაბამისი ფუნქციების ხელშეწყობა.

# საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება სამშვიდობო პროცესებში და კრიზისის პრევენციაში

1991 წლიდან საქართველოში სამი ომი იყო: 1990-იანი წლების დასაწყისში ომები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, ხოლო 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთსა და საქართველოს შორის. მაშინ, როდესაც სამხედრო მოქმედებების საფრთხე კვლავ არსებობს, სამშვიდობო საქმიანობა ძალიან მნიშვნელოვანია ყველა რეგიონში მოსახლეობის უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად და კონფლიქტის ორ მხარეს შორის ნდობის აღსადგენად. საქართველოში გაუმჯობესდა დემოკრატიზაცია და პოლიტიკურ პროცესებში ხალხის მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული ტრანსფორმაცია ჯერ კიდევ გარკვეულ სირთულეებს აწყდება. კრიზისის პრევენცია, კონფლიქტის ტრანსფორმაცია და სამშვიდობო ინიციატივა- ის უმნიშვნელოვანესი სფეროებია, სადაც მდგრადი შედეგების მისაღებად სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა აუცილებელია. საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება 1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან ყალიბდება და ვითარდება, რაც დასავლეთის დახმარებითა და ხელშეწყობით მოხრა, პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები სწორედ ამ დროს ყალიბდება

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარება დაახლოებით ოცი წლის განმავლობაში გრძელდება, მთელი ამ პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური დაძაბულობა, ეკონომიკური პრობლემები, სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა სამოქალაქო სექტორის განვითარების თანმდევი იყო. ამავდროულად, საქართველოს აქვს ევრო-ატლანტიკურ ინსტიტუციებში გაერთიანების სურვილი; ასევე ცდილობს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების გადაწყვეტის შესაძლებლობა და გარემო შეიქმნას, 2008 წლის აგვისტოს ომმა საქართველოს საზოგადოება (ისევე, როგორც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისა) ახალი საფრთხეების წინ დააყენა და გამოაშკარავა კრიზისის მართვის სფეროსა და კონფლიქტის გადაწყვეტილების სტრატეგიებში ყველა დონეზე არსებული პრობლემები. სამოქალაქო საზოგადოებას, როგორც მშვიდობაში დაინტერესებულ მონაწილეს, ახლა კიდევ უფრო სასწრაფო ამოცანები აქვს განსახორციელებელი: პირველ რიგში, უნდა შეეშავედეს ახალი სამშვიდობო სტრატეგიები და შემდეგ სხვა მნიშვნელოვან მონაწილეებთან ერთად უნდა მოხდეს მათი განხორციელება.

ევროპული ინსტიტუციების, კერძოდ ევროკავშირის, როლი მეტად მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში სამშვიდობო პროცესების და კრიზისის მართვის კუთხითაც. სამოქალაქო საზოგადოების განვითარება ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და ახალი აღმოსავლური პარტნიორობის (აპ) მიერ განსაზღვრული მიზანია. ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოება ევროკავშირის დოკუმენტებში მოხსენიებულია, როგორც სამშვიდობო პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილე, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ხელშეწყობის საჭიროება ჯერ კიდევ სახეზეა.

## სამშვიდობო პროცესში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული სირთულეები

როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია კრიზისის პრევენციაში, კონფლიქტის ტრანსპორმირებაში და მშვიდობის დამყარებაში დადებითი წვლილის შეტანა. მას შეუძლია მონაწილეობის მიღება დამოუკიდებლად ან მთავრობის ან/და საერთაშორისო საზოგადოების მიერ ინიცირებულ სამშვიდობო პროგრამებში.

სამოქალაქო საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს თავისი სტრატეგიული მიზნები და დაამტკიცოს მისი მიდგომების რელევანტურობა სამშვიდობო პროცესების სხვადასხვა ეტაპებზე. მიზნების და სასურველი გავლენის, ასევე ინსტიტუციური და სტრუქტურული შეზღუდვების მკაფიოდ გამოკვეთა, მნიშვნელოვანია სამშვიდობო პროცესების მდგრადობისათვის. ზოგადად, სამშვიდობო და კრიზისის პრევენციის სფეროში საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების წინაშე შემდეგი სირთულეები დგას:

- სამოქალაქო საზოგადოება არ არის საკმარისად კონსოლიდირებული სამშვიდობო სტრატეგიის და მიზნების თვალსაზრისით; მშვიდობისა და კონფლიქტის შესახებ სამოქალაქო საზოგადოებაში დებატების ნაკლებობაა;
- სამოქალაქო საზოგადოებაში სხვადასხვა მონაწილეებს შორის სამშვიდობო საქმიანობის კოორდინაციის თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები ძალიან მცირეა;



- სამშვიდობო პროცესის გარემო ზოგადად პრობლემურია, მონაწილეების ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულების და ურთიერთობის თვალსაზრისით (სამოქალაქო საზოგადოების წევრები ერთმანეთში და საქართველოს მთავრობასთან) ბევრი პრობლემა გადას.

ამ კუთხით, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დონორთა პოზიცია და მიდგომა მშვიდობის მშენებლობის გარემოს შექმნის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია. მონაწილეებზე ორიენტირებული მოდგომა ზოგჯერ იწვევს სსო-ებს შორის კონკურენციას და დონორის დახმარების საბოლოო მიზანი, ანუ სამშვიდობო პროცესის მდგრადობა, იკარგება ან სერიოზულად ბრკოლდება. სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო ინიციატივების ხელშეწყობისათვის და საბოლოო (პოლიტიკური და სოციალური) მიზნის და კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის, დონორებმა უნდა:

- გააგრძელონ ადგილობრივი კონტაქტის ანალიზი და დახმარების პროგრამები მოარგონ ადგილზე არსებულ საჭიროებებს;
- გააგრძელონ სამშვიდობო სფეროში მომუშავე ადამიანებისა და ორგანიზაციების პირდაპირი დახმარება ობიექტურად და გამჭვირვალედ;
- ყურადღების ცენტრში მოაქციონ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შესაძლებლობების გაძლიერება (ისეთ სფეროებში, როგორცაა კვლევა და ანალიზი, თანამშრომლობის სტრატეგიების შემუშავება, მიღებული გაკვეთილების გათვალისწინება და გამოყენება, სამშვიდობო პროცესებში მედიის გამოყენება, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სამშვიდობო პროცესების ირგვლივ საჯარო დებატების ორგანიზაცია, ადვოკატირება და ლობირება) და
- მდგრადი გადაწყვეტილებების მიმართ ორიენტაციის გამყარება.

აშკარაა, რომ 2008 წლის ზაფხულის შემდეგ საქართველო მშვიდობის მშენებლობის პროცესში ახალ და რთულ ეტაპზე დგას. მომავლის დაგეგმვის პროცესში უნდა განისაზღვროს ყველა მცდელობა და რესურსი, გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნას ინსტიტუციური გარემო. ამ დოკუმენტში მოყვანილია შვიდი პრიორიტეტული სფერო, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მიერ განისაზღვრა ორი მრგვალი მაგიდის “ევროპული პარტნიორობის გაძლიერება კრიზისის პრევენციისა და რეაგირების მიზნით: სამოქალაქო საზოგადოების სამშვიდობო მრგვალი მაგიდები საქართველოში” პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებზე. ამ პრიორიტეტულ სფეროებში, სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებმა უნდა გაითვალისწინონ სამოქალაქო საზოგადოების, საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო დონორებისათვის მომზადებული რეკომენდაციები. პრიორიტეტული სფეროები შემდეგია:

- კონლიქტურ მხარეებს შორის მეტი კონტაქტი, ხალხს შორის დიალოგი;
- ახალგაზრდების ჩართვა და განათლების სფეროს გააქტიურება სამშვიდობო ინიციატივებია თვალსაზრისით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა მონაწილეობის გაძლიერება მშვიდობის მშენებლობის პროცესში;
- ადამიანების უსაფრთხოება უზრუნველყოფა კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე;
- ცვლილებები კანონმდებლობაში, სტრატეგიებსა და პოლიტიკაში;
- ომის დანაშაულისა და ადამინის უფლებების დარღვევის შესწავლა და ანალიზი;
- მოლაპარაკებების სპექტრის, დიალოგისა და დისუკუსიის გაფართოება კონფლიქტის მხარეებს შორის.

პრიორიტეტული სფეროების შესახებ ტექსტებში ორმხრივი მიდგომაა გამოყენებული: პირველი, განისაზღვრება პრობლემური სფეროები, სადაც სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა მნიშვნელოვანი და მეორე, შესაბამისად, შემუშავდება გადაწყვეტილებების მიღწევაზე მიმართული რეკომენდაციები. თითოეული პრიორიტეტული სფეროს ანალიზის შედეგად წარმოდგენილი რეკომენდაციები შეეხება სხვადასხვა მონაწილეებს, მაგრამ ამავედროულად, ისეთი ინტეგრირებული სტრატეგიის ძიებას წარმოადგენს, რომელიც ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობის და საერთაშორისო დონორების ჩართულობას და შედეგად სამშვიდობო პროცესების უკეთეს კოორდინაციას, ხოლო გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით,- უფრო თანამშრომლურ და მდგრად სამშვიდობო სტრატეგიას.

# პრიორიტეტული სფეროები: პრობლემების ანალიზი და რეკომენდაციები

## კონლიქტურ მხარეებს შორის მეტი კონტაქტი, ხალხს შორის დიალოგი

2008 წლის აგვისტოს ომი და რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებამ გაამწვავა კონფლიქტის ზონაში ხალხი-ხალხთან მშვიდობიანი კონტაქტების სფეროში არსებული პრობლემები. საზოგადოების დამოკიდებულება მშვიდობიანი თანაცხოვრების მიმართ ორივე მხრიდან გაუარესდა, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში, სადაც შეიარაღებული შეტაკებით ტრამვირებული ადამიანები არიან და ბევრ მათგანს სამხედრო ძალადობა საკუთარ თავზე აქვს გამოცდილი, ომის დანაშაულისა და ადამიანის უფლებების დარღვევის ჩათვლით. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მოსახლეობა, ისევე, როგორც საქართველოს მხარე, მაგრამ ცოტა ნაკლებად, ზოგადად კონტაქტის სურვილს არ გამოხატავს. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ეს ქართველების მიმართ მტრული განწყობის შედეგია და ასევე, იმისა, რომ საზოგადოებაში არ არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, საჭიროა თუ არა საქართველოსთან კონტაქტები. შიში დამატებითი ფაქტორია, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტებს შორის, რადგან არ იციან, თუ როგორ აღიქვამენ ასეთ კონტაქტებს პოლიტიკური ლიდერები შესაბამის რეგიონებში.

მაგრამ, საზოგადოების იმ ნაწილშიც, რომელსაც კონტაქტების დამყარება სურს, გამყოფი ზოლები პრაქტიკულ დაბრკოლებას წარმოადგენს. ეს პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია გადასვლის ნებართვების და ტრანსპორტირების ხაზების კუთხით საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთს შორის. მაგალითად, საქართველოსა და აფხაზეთს შორის ავტობუსი რეგულარულად არ დადის და ვისაც ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა სურს, საცაღფეხო გზით უნდა გადავიდეს. თუმცა, კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სიტუაცია სამხრეთ ოსეთთან უფრო შემზარავია.

მაშინ, როდესაც 2008 წლის აგვისტოს ომამდე სამხრეთ ოსეთთან მიმოსვლა უფრო თავისუფალი იყო, დღესდღეობით საკანონმდებლო შეზღუდვები, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები და საზღვარზე სამხედრო შენაერთების არსებობა, ადამიანების გადაადგილებას უშლის ხელს. 2008 წლის ოქტომბრიდან სამხრეთ ოსეთმა დახურა ადმინისტრაციული საზღვარი და კანონიერად მხოლოდ რუსეთის მხრიდან შემოსვლას აღიარებს. ამავდროულად, საქართველოს ხელისუფლება აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებს საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება შეუძლიათ, პრაქტიკულად სამხრეთ ოსეთის მოსახლეობას ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთა (გარდა ახალგორის რაიონისა) არ შეუძლია. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია და ვის არ შეუძლია საზღვრის გადაკვეთა, ხშირად ქართული პოლიციის სუბიექტური გადაწყვეტილების საგანია.

ამ სირთულეების და აგრეთვე პოლიტიკური მოსაზრებების გამო, ქართველების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის თავმოყრა ერთობლივი საქმიანობის ირგვლივ სამოქალაქო ინიციატივების ფარგლებში ხორციელდება რეგიონის გარეთ, ხშირად, უკრაინასა და თურქეთში. არის ბევრი საერთაშორისო დონორის მიერ დაფინანსებული პროექტი, რომელიც მიმართულია ნდობის აღდგენაზე და დიალოგის უწყვეტობაზე და რომელთა ფარგლებში ხდება საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აქტივისტების, ექსპერტებისა და ახალგაზრდა პოლიტიკოსების შეკრება.

თუმცა, ეს ინიციატივები ხშირად ცუდაა კოორდინირებული და ვრცელდება ამ სამი საზოგადოების მხოლოდ გარკვეულ ფენებზე, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობა პროექტის ფარგლებს მიღმა რჩება. ისეთი საკითხები, როგორიცაა აფხაზი და სამხრეთ ოსეთის სტუდენტებისათვის უმაღლესი განათლების მიღება საქართველოში, ან თუნდაც ისეთი სპეციფიკური საკითხები, როგორიცაა, თუ ვინ გადაიხდის თბილისის საავადმყოფოში აფხაზების და სამხრეთ ოსეთიდან ჩამოსული პირების სამედიცინო დახმარების ხარჯებს, სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს. მცირე ზომის ეკონომიკური თანამშრომლობა, რომელიც სამხრეთ ოსეთსა და საქართველოს შორის მეტად ცოცხალი იყო ომამდე, დღესდღეობით აღარ არსებობს, იმის გამო, რომ ბაზრები ფიზიკურად მიუწვდომელია, მაგრამ იმიტომაც, რომ საკანონმდებლო შეზღუდვებია სახეზე (მაგალითად, საქონლის ტრანსპორტირება ადმინისტრაციულ საზღვარზე).

**რეკომენდაციები:**

**სამოქალაქო საზოგადოებას:**

- დარწმუნდით, რომ სამოქალაქო საზოგადოების ხელშეწყობით განხორციელებული ხალხს შორის კონტაქტები მოიცავს საზოგადოების ფართო სპექტრს და არ არის მხოლოდ ექსპერტებს შორის კონტაქტი. წაახალისეთ ტრადიციული დღესასწაულების დროს ერთობლივი ზეიმები, როგორცაა, მაგალითად, ქართველების და ოსების ხატობების ერთად ზეიმობა.
- იმუშავეთ კონფლიქტის ყველა მხარის ადამიანების ერთობლივი ინტერესების გამოვლენის მიმართულებით, როგორცაა სპორტი, ხელოვნება, ჯანმრთელობა, პროფესიული საქმიანობა და ა.შ. და ეს დაუპირისპირდით ამ სფეროში ერთობლივი საქმიანობის პოლიტიზაციის მცდელობებს.
- ჩამოაყალიბეთ მექანიზმები, რომელიც შეუწყობს ხელს სსო-ს შორის ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის საკითხებში დიალოგის პროცესისა და ადამიანებს შორის კონტაქტების დამყარებას.
- ჩამოაყალიბეთ და გააძლიერეთ თანამშრომლობა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სსო-ებს შორის, რათა ხელი შეეწყოს ხალხს შორის კონტაქტებს, მაგალითად, აკადემიური და კულტურული გაცვლითი პროგრამები და საზაფხულო მშვიდობის ბანაკები.
- ინტერნეტ-კომუნიკაციის გზით წაახალისეთ და ხელი შეუწყეთ პროექტებს შორის ურთიერთობას ვიდეო კონფერენციებისა და ერთობლივი ვებგვერდებით.
- განსაზღვრეთ ჰარმონიული თანაცხოვრების და მეგობრობის დადებითი მაგალითები, როგორცაა შერეული ქორწინება (აფხაზურ-ქართული და ოსურ-ქართული), ფეისბუქში მეგობრობა და ა.შ. და გამოაშკარავეთ ისინი საზოგადოებაში დამაპირისპირებელი რიტორიკის წინააღმდეგ.

**საქართველოს მთავრობას:**

- გაუქმდეს ხალხს შორის კონტაქტების და ასეთი კავშირების წამახალისებელი სამოქალაქო საზოგადოების პროექტების დამაბრკოლებელი ფაქტორები, გადაისინჯოს კანონმდებლობა (მოგზაურობის ნებართვებისა და მცირე ზომის ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ) და ასევე შესაძლებელი გახდეს საქართველოში სწავლის სურვილის მქონე ახალგაზრდა აფხაზი და ოსის ახალგაზრდებისათვის სტიპენდიების გაცემა და ა.შ.
- მიღებულ იქნას სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მიერ შემოთავაზებული რჩევები და ტრენინგი მშვიდობის მშენებლობის მიმართულებით მომუშავე სამთავრობო რგოლების მიერ მხედველობაში გადაწვეტილებების მიღებისას.

**საერთაშორისო დონორებს**

- დაწესდეს სამოქალაქო საზოგადოების საკოორდინაციო შეხვედრები დონორებთან, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საქართველოს სსო-ებთან დიალოგის პროცესისა და ხალხის შორის კავშირების დამყარების პროექტების სფეროში;
- ხელი შეეწყოს საქართველოს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ახალგაზრდების ერთობლივ მონაწილეობას რეგიონალურ და ევროპულ საზაფხულო სკოლებში და ახალგაზრდულ ბანაკებში, მაგალითად, სტიპენდიების გამოყოფის გზით.

**ახალგაზრდების ჩართვა და განათლების სფეროს გააქტიურება სამშვიდობო პროცესებში**

ის ინფორმაცია და განათლება, რომელსაც დეზულობენ ახალგაზრდები, მნიშვნელოვნად განაპირობებს ახალი თაობის ლიდერების, ამომრჩეველების და მოქალაქეების საერთაშორისო და საზოგადოების შიგნით მშვიდობის აღქმას, კონფლიქტების გადაწყვეტის ლეგიტიმურ გზებს და საზოგადოების შიგნით ურთიერთობის პრინციპებს. ამ კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ისეთი საგნების სწავლებას, როგორცაა ისტორია და საზოგადოებამცოდნეობა, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებაში არსებული დებატები, რომელიც ახალგაზრდა თაობის ხედვასა და ქცევის მოდელს უყალიბებს.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში სკოლის მასწავლებელთა ტოლერანტობის და მრავალკულტურიზმის სფეროში ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული არაერთი პროექტი განხორციელდა, რათა მასწავლებლებმა ეს მიდგომა თავიანთ სასწავლო მეთოდოლოგიაში

გაითვალისწინონ. განხორციელდა სხვა ინიციატივებიც, მაგალითად, ისტორიის სახელმძღვანელოების ერთობლივი განხილვა და შესწორებების შეტანა სომეხ და აზერბაიჯანელ მეზობლებთან ერთად, არსებული სტერეოტიპების და მტრის იმიჯის აღმოსაფხვრელად.

თუმცა, საქართველოს სკოლებში მოსწავლეებს ფართოდ აკლიათ ისტორიისა და სამოქალაქო ასპექტების ცოდნა. სამოქალაქო განათლება, სისტემის, მმართველობისა და საზოგადოების ფუნქციონირების და ასევე ადამიანის უფლებების და თავისუფლების შესახებ, არის არჩევითი საგანი სკოლის 10-ე კლასში (ასაკი 14-16 წლის). არ არსებობს ამ საგნის სწავლების სტანდარტები ან მასწავლებელთა აკრედიტირებული პროგრამები, და ხშირად ამ საგანს ისტორიისა ან გეოგრაფიის მასწავლებელი კითხულობს. ახალი საგნის, “სამოქალაქო თავდაცვის” დაგეგმილმა შემოღებამ ბევრი კითხვა გააჩინა საგნის შინაარსთან დაკავშირებით, რომელმაც უნდა მოამზადოს სკოლის მოსწავლეები კატასტროფებისათვის და საგანგებო მდგომარეობებისათვის.

რაც შეეხება საქართველოს საზოგადოებაში სამშვიდობო და კონფლიქტის გადაწყვეტილების თემაზე დებატებს, აქ აღინიშნება ნაციონალისტურ-პატრიოტული, სამხედრო ღირებულებების გაძლიერებისა და ქება-დიდების ტენდენცია. ახალგაზრდა თაობა იზრდება სამშობლოსათვის თავგანწირვის იდეაზე აქცენტით, რომელიც ყურადღებას ამახვილებს არსებული კონფლიქტების გადაწყვეტის მიმართ არათანამშრომლურ სტრატეგიაზე. ასეთი ქადაგება ახალგაზრდებში კომპრომისისა და კონფლიქტის გადაწყვეტის უნარს ამცირებს, პირად ცხოვრებაშიც კი.

**რეკომენდაციები:**

**სამოქალაქო საზოგადოებას:**

- სსო-ებში გაძლიერდეს კვლევისა და პროექტის განხორციელების შესაძლებლობა სამოქალაქო განათლების სფეროში.
- აუცილებელია ახალგაზრდების ჩართულობა სსო-ებში მოხალისეების სახით და სამოქალაქო საზოგადოების სექტორში დასაქმების პერსპექტივის უზრუნველყოფა.
- განისაზღვროს საჭიროებები და სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლებაში პროგრამებისა და პროგრამის გარეშე საქმიანობის შემუშავების პროცესში ადგილობრივ სკოლებთან თანამშრომლობა. აქ შედის საქმიანობა ისეთ თემებზე, როგორცაა კონფლიქტის ტრანსფორმაცია, სამშვიდობო ინიციატივა, ტოლერანტობა და ა.შ. ადგილობრივი, დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში მომზადებული სსო-ების გამოყენება.
- ახალგაზრდების საჭიროებების გამოკვლევა კონფლიქტის ყველა მხარეს, ერთობლივი ინტერესების განსაზღვრა და ამ ინტერესებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე პროექტების მომზადება.

**საქართველოს მთავრობას:**

- სსო-ებთან ერთად გადაისინჯოს სასკოლო პროგრამა და 15+ ასაკის მოსწავლეებისათვის სამოქალაქო და ადამიანის უფლებების შესახებ განათლება გახდეს სავალდებულო საგანი.
- ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების მეშვეობით წახალისდეს თანამშრომლობა სკოლის დირექტორებს, მასწავლებლებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ერთობლივ პროექტებსა და კლასგარეშე საქმიანობის ფარგლებში (მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის დღე, მსოფლიო მშვიდობის დღე, საზოგადოებრივი ბანაკები, სათემო საქმიანობა და ა.შ.).
- სსო-ების ჩართვა სასწავლო სტანდარტებისა და მასწავლებელთა აკრედიტირებული სამოქალაქო და ადამიანის უფლებების განათლების ტრენინგ-პროგრამების შემუშავების პროცესში.
- განათლებაში კულტურებს შორის ტოლერანტობის პროპაგანდა, მაგალითად, ლიტერატურის გაკვეთილებზე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების ლიტერატურული ნაწარმოებების სწავლება.

**საერთაშორისო დონორებს:**

- წახალისდეს და დაფინანსდეს სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და ევროკავშირის წევრი-ქვეყნების პედაგოგიური ინსტიტუციების შორის გაცვლითი პროგრამები;

- მოხდეს პროგრამების დაკავშირება საქართველოში განათლების რეფორმის ხელშესაწყობად და დასაფინანსებლად სსო-ების მონაწილეობით პროგრამის შემუშავებასა და მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამების მომზადებაში.
- საზაფხულო ბანაკებისა და სკოლების, ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამების დაფინანსება სამხრეთ კავკასიის კონფლიქტის ზონებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის.

## იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ) მონაწილეების გაზრდა მშვიდობის მშენებლობის პროცესში

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად 125,000 ქართველი იძულებული გახდა კონფლიქტის ზონაში ან მის სიახლოვეს საკუთარი სახლი დაეტოვებინა. დაახლოებით 20,000 ადამიანი ვეღარ დაბრუნდა საკუთარ სახლში შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ, მუდმივ დევნილად დარჩა და დაემატა 1990 წლის დასაწყისში ძალადური კონფლიქტის შემდეგ არსებულ 247,000 იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვს.<sup>5</sup>

შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ, საქართველოს მთავრობამ, საერთაშორისო დახმარებით, სწრაფად დაიწყო საცხოვრებლების მშენებლობა იმ პირთათვის, ვინც საკუთარ სახლში ვეღარ დაბრუნდა. ეს იგპ-მა აგრეთვე საბაღე ნაკვეთები მიიღეს. საერთაშორისო ორგანიზაციები აწვდიდნენ, და აგრძელებენ საკვები პროდუქტების, შეშის, პესტიციდების და საქონლის მიწოდებას. თუმცა, ახალი დასახლებები ძირითადად აშენდა განუყოფელ ტერიტორიებზე, ძირითადი სისტემებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის გარეშე. დასახლებების უმრავლესობაში სახლებში არ მიეწოდებოდა წყალი და არ არის კანალიზაციის სისტემა, იგპ-ები სარგებლობენ წყლის საერთო ონკანებით და ტუალეტებით. გარდა ამისა, დასახლებებში არ არის არც დასაქმება და არც თვით-დასაქმების პოტენციალი.

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებზე სწრაფი რეაგირებისა, გაურკვეველია, აქვს თუ არა მთავრობას იგპ-ების ინტეგრაციის გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელების შესაძლებლობა და პოლიტიკური ნება. იგპ-ების საკითხებზე ბევრი სახელმწიფო სააგენტოს ჩართულობის შედეგია ის, რომ არ არსებობს ადეკვატური კოორდინაცია, იგპ-ები დაბნეულები არიან და ხშირად არ ფლობენ ინფორმაციას მათთვის გამოყოფილი დახმარებისა და საკუთარი უფლებების შესახებ.

2008 წლის აგვისტოს ომში დაზარალებულებზე საქმიანობის ფოკუსირებამ გამოიწვია 1990-იან წლებში აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთიდან დევნილთა უკმაყოფილება, რადგან მათ თხუთმეტ წელიწადზე მეტია, რაც წარმოუდგენლად გაუსაძლის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში ცხოვრობენ. 2008 წელს განახლებულმა კონფლიქტმა საგრძნობლად შეანელო “იგპ-ზე ორიენტირებული სახელმწიფო სტრატეგიის” განხორციელება. სტრატეგია 2007 წელს იყო მიღებული და მიზნად ისახავდა “ძველი” იგპ-ების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მათი 40% დღესაც კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს, აუტანელ პირობებში, სადაც არც წყალია და არც სხვა პირობები. თითქმის ყველა ასეთ კოლექტიურ ცენტრში გაზრდილ ბავშვს ეგრედწოდებულ “იგპ სკოლებში” არადაამაკმაყოფილებელი განათლება აქვს მიღებული და სამუშაოს არარსებობა კრიმინალის მაღალი დონის მიზეზია. კერძო სექტორში იგპ-ების დასახლება (მაგალითად ნათესავებთან) მათთვის სოციალური დახმარების გაწევას ართულება.

დევნილთა და განსახლების სამინისტრომ 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა, სადაც გათვალისწინებულია ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა და კოლექტიური ცენტრების განახლება, როგორც “ძველი”, ასევე “ახალი” იგპ-ებისათვის. თუმცა, საცხოვრებელზე ფოკუსირებამ არ უნდა დააბრკოლოს უფრო სრულყოფილი სტრატეგიის შემუშავება, სადაც გათვალისწინებული იქნება ისეთი საკითხები, როგორიცაა უმუშევრობა, განათლება და ჯანმრთელობა, რათა შემცირდეს იგპ-ების დამოკიდებულება კუმანიტარულ დახმარებაზე, თუნდაც ყველაზე მინიმალური საჭირებების თვალსაზრისით და უზრუნველყოფილი იქნას იგპ-ების ქართულ საზოგადოებაში სრული ინტეგრაცია, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით სარგებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში “ახალი” იგპ-ები ცოტა ხანში “ძველი” იგპ-ების 15-წლიან ბედს გაიზიარებან: სოციალურად და ეკონომიკურად გახდებიან ერთ-ერთი ყველაზე გაჭირვებული ჯგუფი, სამოქალაქო და პოლიტიკურ ცხოვრებას მოწყვეტილი და პოლიტიკური მანიპულირებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი.

<sup>5</sup> Figures on “old” IDPs vary according to different sources. The figures cited in this document are taken from the “State Strategy on IDPs”, see below. The “State Strategy on IDPs” can be found at the website address [http://www.mra.gov.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=208#index/207/ENG](http://www.mra.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=208#index/207/ENG).

**რეკომენდაციები:**

**სამოქალაქო საზოგადოებას:**

- ჩატარდეს იგპ-ების რეგისტრაციის სიტუაციის და იგპ-ების უფლებების დარღვევების შესწავლა (განსაკუთრებით, მათი საკუთრების უფლებების დარღვევები დროებითი საცხოვრებლის ადგილებში) და შემუშავდეს წინადადებები ამ დარღვევების გამოსასწორებლად.
- დასახლებების დიდი ნაწილის მოცვის მიზნით, გაფართოვდეს არსებული პროგრამები, რომლებიც იგპ-ს ინფორმაციას აწვდიან მათი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ.
- შესაძლებლობების გაძლიერება, განსაკუთრებით, დასახლებებში და კოლექტიურ ცენტრებში მცხოვრები ახალგაზრდობისა, რათა მათ შეძლონ თვითორგანიზება და თავიანთი უფლებების დაცვა და მათი ხმა საზოგადოებაში გავიწყდეს იქნას. შემდეგ, უნდა წახალისდეს იგპ მონაწილეობა ადგილობრივ სამოქალაქო საზოგადოების პროექტებში.

**საქართველოს მთავრობას:**

- დაწესდეს იგპ-ების დაცვასა და დახმარებაზე მომუშავე სსო-ებთან რეგულარული კოორდინაციის მექანიზმი.
- იგპ დასახლებებსა და კოლექტიურ ცენტრებში შექმნილი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებთან კონსულტაციები იქ მცხოვრებ ხალხზე გავლენის მქონე ნებისმიერი პოლიტიკურ ქმედებასთან დაკავშირებით.
- განახლდეს და გაუმჯობესდეს იგპ-ების შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვების მეთოდები და პროცესი (ამ სფეროში მომუშავე სსო-ების აზრის გათვალისწინებით) და შეგროვდეს ინფორმაცია განათლებისა და დასაქმების სტატუსის შესახებ. მონაცემთა არამიზნობრივი გამოყენების თავიდან ასაცილებლად, დაწესდეს შესაბამისი მონაცემთა დაცვის მექანიზმები.

**საერთაშორისო დონორებს:**

- დაწესდეს იგპ სამოქალაქო საზოგადოების საკოორდინაციო შეხვედრები და გაუმჯობესდეს დონორებს, საერთაშორისო დახმარების სააგენტოებსა და საქართველოს სსო-ებს შორის ქსელების მუშაობა.
- დახმარების პროგრამების შემუშავების პროცესში, კონსულტაცია გასავლელია იგპ-ებთან მომუშავე და/ან იგპ-ების ხელმძღვანელობით მომუშავე ორგანიზაციებთან.
- იგპ დასახლებებში და კოლექტიურ ცენტრებში იგპ-ების მიერ ჩამოყალიბებული სსო-ებისათვის და სათემო ორგანიზაციებისათვის მცირე გრანტების პროგრამების უზრუნველყოფა.

**ადამიანების უსაფრთხოების გაუმჯობესება კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე**

“ადამიანების უსაფრთხოება” არის ახალი კონცეფცია, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ადამიანების დაცვაზე და უფრო ფართოა, ვიდრე “ეროვნული უსაფრთხოების” ტრადიციული კონცეფცია, რომელიც მიმართულია სახელმწიფოს გარე საფრთხეებისაგან დაცვაზე.<sup>6</sup>

ადამიანების უსაფრთხოების პროტენციური საფრთხე არა მხოლოდ ომებიდან გამომდინარეობს, არამედ მოიცავს დავადავებებს, სიღარიბეს, ბუნებრივ კატასტროფებს, ძალადობას, ნაღმებსა და დანადგულ ტერიტორიებს, ადამიანის უფლებების დარღვევებსა და სხვა. მოცემულ დოკუმენტის ყურადღების ცენტრშია ადამიანების უსაფრთხოების ფიზიკური და პიროვნული განზომილება. ადამიანების უსაფრთხოება ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არის გაღისა და ახალგაზრდის რეგიონებში (შესაბამისად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლების კონტროლს ქვეშ და დასახლებულია ძირითადად ეთნიკური ქართველების მიერ) და გორის

<sup>6</sup> Human Security Report Project: What Is Human Security? 2005. <https://owa.univie.ac.at/owa/redir.aspx?C=eef8c550410d49888c092b6553ed13c2&URL=http%3a%2f%2fwww.hsrgroup.org%2fdocs%2fPublications%2fHSR2005%2f2005HumanSecurityReport-WhatIsHumanSecurity.pdf>

რაიონის სოფლები, რომლებიც ასევე დაზარალდა 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებების დროს.

ახალგორისა და გალის რეგიონებში სიტუაცია გასხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ, ამავდროულად, ადამიანის უსაფრთხოებისათვის ზოგიერთი მსგავსი საფრთხეებიც არის:

- ცალკეული სამხედრო ოპერაციები, როგორცაა სროლები ადმინისტრაციული საზღვრის მახლობლად, გალისა და ახალგორის მოსახლეობისათვის კვლავაც საფრთხეს წარმოადგენს.
- აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა, ახალგორისა და გალის რეგიონების ჩათვლით, სამხედრო და პარასამხედრო ძალების და ორგანიზებული კრიმინალური დაჯგუფებების ოპერაციების საფრთხის ქვეშ არიან, განსაკუთრებით, ადმინისტრაციულ საზღვართან მიმდებარე ტერიტორიები.
- ომის შემდეგ დარჩენილი ასაფეთქებლები ხშირად ადგილობრივი მოსახლეობის დაჭრისა და სიკვდილის მიზეზი ხდება, როგორც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ასევე 2008 წლის აგვისტოს საომარი მოქმედებებით დაზარალებულ ტერიტორიებზე.
- აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების მდგომარეობის მონიტორინგს არც ერთი ორგანიზაცია არ ახორციელებს.
- ადმინისტრაციული საზღვართან მიმდებარე ტერიტორიებზე უკანონობის დონე მაღალია და ადამიანების უსაფრთხოებას კრიმინალური საქმიანობა ემუქრება (მაგალითად, ადამიანების გატაცებები და ადგილობრივი მოსახლეობის საქონლის მოპარვა) და გაურკვეველობა საზღვრის ზოლის ზუსტ მიმართულებასთან დაკავშირებით, რის შედეგადაც ხშირია საძოვრებზე ან შეშის მოსაგროვებლად გასული ადგილობრივი მაცხოვრებლების დაპატიმრება.

**რეკომენდაციები:**

***სამოქალაქო საზოგადოებას:***

- გაიზარდოს სსო-ების ჩართულობა ადამიანების უსაფრთხოების რისკების შეფასებასა და ანალიზში, ადამიანებზე ორიენტირებული სწრაფი გაფრთხილების სისტემების ჩამოყალიბება და გაძლიერების ჩათვლით.
- სიღრმისეული კვლევის ჩატარება ადამიანური უსაფრთხოების საჭიროებებთან დაკავშირებით და ამ საჭიროებების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების მომზადება.
- ადამიანის უფლებების მონიტორინგში აქტიური ჩართვა
- სამოქალაქო მოსახლეობისათვის უსაფრთხოების ზომებთან და კატასტროფისათვის მომზადებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდება.

***საქართველოს მთავრობას:***

- შემუშავდეს მიზნობრივი და თანმიმდევრული მიდგომა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტისა და კონფლიქტის ტრანსფორმირების მიმართ, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარებული შეფასებების შედეგების გათვალისწინებით.
- უზრუნველყოს იქნას გამჭვირვალე, მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია დაზარალებული მოსახლეობის შესახებ უსაფრთხოების რისკებისა და საფრთხეების ჭრილში, სსო-ების მიერ ჩატარებული საფრთხეების შეფასებებზე და სწრაფი გაფრთხილების სისიტემებზე დაყრდნობით.
- სსო-ების ხელშეწყობით შემუშავდეს და მოსახლეობაში გავრცელდეს საგანგებო სტრატეგიები და გეგმები.
- გაძლიერდეს დიალოგი სსო-ებთან ადამიანური უსაფრთხოების თემაზე, მაღალი რისკის ტერიტორიებზე ადამიანური უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, დაგეგმვისა და ღონისძიებების ჩასატარებლად.
- გაგრძელდეს დიალოგი საერთაშორისო დონეზე, ადამიანური უსაფრთხოების პრობლემებზე მომუშავე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების ჩათვლით.

***საერთაშორისო დონორებს:***

- სსო-ების დახმარება ადამიანური უსაფრთხოების სფეროში არსებული საჭიროებების შეფასებების ჩატარების მიზნით.
- განნაღმვითი პროცესის დახმარების გაგრძელება

▪ სსო-ებისათვის ფინანსური დახმარების გაწევა ადამიანური უსაფრთხოების ყველა ასპექტთან დაკავშირებით კვლევების და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

## კანონმდებლობაში, სტრატეგიებსა და პოლიტიკაში ცვლილებების შეტანა

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, საქართველოს მთავრობამ და კანონმდებლობა მიიღეს ისეთი კანონები და პოლიტიკის სტრატეგიები, რომლებიც სერიოზულად აბრკოლებენ სამშვიდობო პროცესებს. რას შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების გადაწყვეტას, მთავარი დოკუმენტებია: “სახელმწიფო სტრატეგის ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით”, მასთან ასოცირებული სამოქმედო გეგმა და “კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ”. “იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ სტრატეგია” და მასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმა, ისევე როგორც “კანონი იგპ-ების შესახებ”, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წლის საომარ მოქმედებამდე, აგრეთვე მნიშვნელოვანია კონფლიქტის შედეგების აღმოფხვრაზე მიმართული მუშაობის თვალსაზრისით.

კონფლიქტის გადაწყვეტისა და სამშვიდობო ინიციატივების კუთხით საქართველოს კანონმდებლობის ნაწილი 2008 წლის ომამდე პრობლემური იყო. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუცია, ითვალისწინებს რა საქართველოს მთავრობის აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის არარსებობას, არ მოიცავს ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის მარეგულირებელ დებულებებს. ამავდროულად, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში შეიქმნა პარალელური ადმინისტრაციული ერთეულები, მაგრამ მათი იურიდიული საფუძველი და ადმინისტრაციული დაქვემდებარება გაურკვეველია. ზოგიერთ შემთხვევაში კანონების აღსრულების შეუძლებლობამ გამოიწვია მათი არაეფექტურობა, როგორც ეს “რესტიტუციის შესახებ” კანონის (რომელიც ძირითადად შეეხებოდა 1990-იანი წლების კონფლიქტის დროს საქართველოს ტერიტორიიდან, სამხრეთ ოსეთის გარეთ გადაადგილებულ ოსებს) შემთხვევაში მოხდა. ეს კანონი, მიუხედავად მისი სტატუსისა, ფაქტობრივად არასდროს აღსრულებულა.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მიღებულ კანონმდებლობას და პოლიტიკას, “კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” პარლამენტმა განიხილა და მიიღო ომის დამთავრებისთანავე, სამოქალაქო საზოგადოებასთან (ბიზნესასოციაციების ჩათვლით) კონსულტაციების გარეშე. კანონი კრძალავს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სჭირდება ნებართვა, ლიცენზია ან რეგისტრაცია. ამასთან ამ რეგიონებში იკრძალება მინერალების მოპოვება და ფულადი გადარიცხვები, საპაერო, საზღვაო და სარკინიგზო ტრანზიტი. 2008 წლის ოქტომბერში ძალაში შესვლის შემდეგ კანონმა გამოიწვია კამათი განსაკუთრებით საქართველოს მთავრობასა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების შორის საქართველოს სანაპირო დაცვის მიერ სოხუმში მიმავალი გემების დაკავების გამო.

ზემოთ აღნიშნულთან განსხვავებით, “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ სახელმწიფო სტრატეგია” შემუშავდა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ოფისისა და სამოქალაქო საზოგადოების შერჩეული წევრების კონსულტაციის პროცესში. ჩამოთვლილია დონისძიებები, რომელთა მეშვეობით საქართველოს მთავრობა აპირებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობების დამყარებას. დონორებმა, ევროკავშირის ჩათვლით, სტრატეგიასთან დაკავშირებული სამოქმედო გეგმის დონისძიებების დასაფინანსებლად ფონდები გამოიხატეს. მაშინ, როდესაც საქართველოს მთავრობამ მოწონება დაიმსახურა სტრატეგიის შემუშავების არასახელმწიფო მონაწილეების ჩართვის გამო, კონსულტაციების პროცესში მონაწილე წევრების შერჩევა მოხდა გაუმჭვირვალე პირობებში და სამშვიდობო პროცესებში და კონფლიქტების გადაწყვეტილებაზე მომუშავე აქტიურად ჩართული სსო-ები პროცესს გამოაკლდა.

ამ მთავარი დოკუმენტების გარდა არის კონფლიქტების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებული რამდენიმე კანონი, რეგულაცია და პოლიტიკის სტრატეგია, რომელიც არეგულირებს იგპ-ების სტატუსს და მათ დახმარებას, აგრეთვე ისეთებიც, რომელიც მიმართულია საზოგადოების შიგნით მშვიდობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე (მაგალითად, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციასთან და ქალთა უფლებებთან დაკავშირებული კანონები და სამოქმედო გეგმები). მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება გარკვეულწილად ჩართულია სამოქმედო გეგმების შემუშავებაში, განხორციელება და მონიტორინგში, მაგრამ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მთავრობის მხრიდან თანმიმდევრული მიდგომა არ არსებობს.



**რეკომენდაციები:**

**სამოქალაქო საზოგადოებას:**

- შეიქმნას თემატური კოალიციები, რომლებიც შეაფასებენ კანონმდებლობის ადეკვატურობას დამოუკიდებელი ექსპერტების აზრის საფუძველზე.
- გაძლიერდეს საქმიანობა, რომელიც მიმართულია კანონმდებლობის შემუშავება და აღსრულებაზე და იძლევა საკანონმდებლო ხარვეზების ანალიზს.
- ხელი შეეწეოს პოლიტიკის ანალიზისა და დამოუკიდებელი ექსპერტული ცოდნის გამყარებას ახალგაზრდა აქტივისტების, განსაკუთრებით, შესაბამისი დისციპლინების სტუდენტების მოზიდვის გზით, მაგალითად, მოხალისეებად და ინტერნებად.

**საქართველოს მთავრობას:**

- გაფართოვდეს სსო-ების მონაწილეობა სამთავრობო სამუშაო ჯგუფებში, რომლებიც მუშაობენ საკანონმდებლო ცვლილებებისა და პოლიტიკის სტრატეგიების გავლების შეფასებაზე სამშვიდობო ინიციატივების ყველა სფეროში.
- გამჭვირვალე, ინკლუზიური და არადისკრიმინაციული კრიტერიუმების ინსტიტუციონალიზაცია სამუშაო ჯგუფებში სამოქალაქო საზოგადოების წევრების შერჩევის და როტაციის დასარეგულირებლად.
- სამშვიდობო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა (სტრატეგიები, დამოქმედო გეგმები და მათი სამუშაო ვარიანტები), ოფიციალურ ვებგვერდებზე ამ დოკუმენტების განთავსება.
- კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით საზოგადოებისათვის ინტეგრირებული ანგარიშების მომზადება.

**საერთაშორისო დონორებს:**

- კონფლიქტების გადაწყვეტილებაზე საქართველოს მთავრობისათვის ფულადი სახსრების გამოყოფა იმ პირობით, რომ აღნიშნულ პროცესებში წარმართება სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.
- სამოქალაქო საზოგადოებისათვის პოლიტიკისა და კანონმდებლობის ანალიზის თემაზე კვლევებისათვის განსახდერული გრანტების გაზრდა.
- ხელი შეეწეოს სსო-ების მხრიდან ალტერნატიული ანგარიშების მომზადებას (სამოქმედო გეგმების განხორციელების შესახებ) და მოეთხოვოს საქართველოს მთავრობას მათი რეკომენდაციების გათვალისწინება.

**ომის დროს ჩადენილი დანაშაულის და ადამიანის უფლებების დარღვევის შეფასება და ანალიზი**

2008 წლის ომმა საგრძნობლად შეცვალა საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ცხოვრება. საომარმა მოქმედებებმა საქართველოს ეკონომიკაზე, ეროვნული უსაფრთხოების სტრუქტურაზე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია- ზოგადად საქართველოს საზოგადოებაზე. მიუხედავად ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებისა (ე.წ. “ექვსპუნქტიანი შეთანხმება”), რომელიც ევროკავშირის საფრანგეთის პრეზიდენტობის მიერ იყო ინიცირებული და კონფლიქტის ყველა მხარემ მას ხელი მოაწერა 2008 წლის აგვისტოში, მისი ზოგიერთი დებულება დღესაც შეუსრულებელი რჩება. მაგალითად, რუსეთის შეიარაღებული ძალები ჯერ კიდევ დისლოცირებულია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. გარდა ამისა, ევროკავშირის მონიტორინგის მისია (ეკმმ), რომელიც ევროკავშირმა კონფლიქტის შემდეგ დააწესა, ოკუპირებულ ტერიტორიებზე ვერ შედის და ვერ ახორციელებს მონიტორინგს უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ.

ჰაიდი ტალიაინი თავმჯდომარეობით, ფაქტების დამდგენი საერთაშორისო მისიამ 2009 წლის ოქტომბერში<sup>7</sup> გამოაქვეყნა ანგარიში გამოძიების შესახებ, სადაც ომის ყველა ასპექტი დეტალურად გააშუქა და ასევე ყურადღება გაამახვილა საომარი მოქმედებების დროს ადამიანის უფლებების დარღვევის ასპექტებზე. თუმცა, დოკუმენტის ოფიციალური ქართული თარგმანი არ არსებობს. სპეციალურმა საპარლამენტო კომისიამ ჩაატარა ეროვნული გამოძიება, მაგრამ ეს ღონისძიება ძირითადად ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, თუ რომელმა მხარემ დაიწყო ომი და დაასკვნა, რომ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყება რუსეთის ბრალია. მიუხედავად

<sup>7</sup> Independent International Fact Finding Mission on the Conflict in Georgia: Report. 2009. Available from <http://www.ceiiig.ch>

ყველაფრისა, ომის აშკარა შედეგების მიმართ ეფექტური ღონისძიებები არ ხორციელდება. აქ იგულისხმება მკვლევარები, მიველების აყვანა, ადამიანების დაჭრა, გაუპატიურება, კონფლიქტის მხარეებს შორის სამოქალაქო პირების ტრავმატიზაცია და გადაადგილება, უკონტროლო ტერიტორიების ირგვლივ კამათისა და მათი არსებობით გამოწვეული პრობლემები.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირად ოფიციალურად დარეგისტრირდა 125,819 ადამიანი. საქართველო-რუსეთის საზღვარი გადაკვეთა და ჩრდილოეთ ოსეთში თავშესაფარი ნახა და UNHCR-ის მიერ დარეგისტრირდა 36,000 ადამიანი. ეს შედეგები გვიდასტურებს საომარი მოქმედებების შემდეგ დამდაგარი ჰუმანიტარული კრიზისის სიმძიმეს. ასევე ცხადია, რომ აუცილებლად უნდა გაკეთდეს შეიარაღებული კონფლიქტის გამომწვევი ფაქტორების და სამხედრო და პარა-სამხედრო ძალების მოქმედების ანალიზი და აგრეთვე კონფლიქტის შედეგების, მათი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის სრულყოფილი შეფასება.

ეს ანალიზი ასევე მნიშვნელოვანია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან და ასევე რუსეთთან კონფლიქტის გადაწყვეტის შესაბამისი და ეფექტური სტრატეგიის შემუშავებისათვის. ყველა მხარის მიერ ომის დროს და მერეც ჩადენილი ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიება, საომარი დანაშაულის და ადამიანის უფლებების დარღვევების შეწყვეტა-ნამდვილი შერიგების პროცესის დაწყებისათვის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

**რეკომენდაციები**

**სამოქალაქო საზოგადოებას:**

- ყველა მხარის მიერ ჩადენილი საომარი დანაშაულის ოფიციალური გამოძიებისათვის ხელშეწყობა.
- აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და ასევე რუსეთთან კონფლიქტის გადაწყვეტილებისა და სერიგების სტრატეგიის შემუშავების მიზნით შედგეს დოკუმენტი მიღებული გაკვეთილების და მათი შედეგების შესახებ.
- აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის და რუსეთის ადამიანის უფლებების დამცველებთან თანამშრომლობა და შეძლებისდაგვარად მათი მუშაობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, როდესაც საკითხი შეეხება 2008 წლის ომის დროს ჩადენილ, ადამიანების უფლებების დარღვევების გამოძიებას.
- ომით დაზარალებული სამოქალაქო პირთათვის კომპენსაციების განაწილების სისწორის გამოძიება.

**საქართველოს მთავრობა:**

- “ტალიაინის ანგარიშის” ქართულ ენაზე ოფიციალური თარგმანისა და დაინტერესებულ ჯგუფთათვის მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
- ომის დროს ჩადენილი დანაშაულის და ადამიანის უფლებების დარღვევების გამოძიების მიზნით ამოქმედდეს ყველა შესაძლო მექანიზმი, საერთაშორისო სასამართლოების ჩათვლით.
- მოხდეს ომის დროს ჩადენილი დანაშაულის და ადამიანის უფლებების დარღვევების საჯარო დაგმობა, მათ შორის საქართველოს მხარის მიერ ჩადენილისა და უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს იურისდიქციაზე ომის დროს ჩადენილი დანაშაულის გამოძიება.
- მინსკის კონვენციის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა<sup>8</sup> და სტამბულის პროტოკოლის დებულებებთან შესაბამისი ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა<sup>9</sup>.

**საერთაშორისო ღონისძიებები:**

<sup>8</sup> The CIS “Minsk Convention on Legal Assistance and Legal Relations in Civil, Family and Criminal Matters.” 1994. An explanatory document on the Convention is available at [http://www.hcch.net/upload/wop/jdgm\\_info01e.pdf](http://www.hcch.net/upload/wop/jdgm_info01e.pdf).

<sup>9</sup> The “Istanbul Protocol” is the commonly used title of the “Manual on Effective Investigation and Documentation of Torture and Other Cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment”. It is a set of international guidelines for the documentation of torture and its consequences and became a UN document in 1999. Available at <http://physiciansforhumanrights.org/library/istanbul-protocol.html>.

- ომის მსვერპლთა დახმარებაზე მომუშავე სსო-ებისათვის ფინანსური დახმარების გამოყოფა.
- დახმარების უზრუნველყოფა სსო-ების მიერ ომის მიზეზების, მეომრების მოქმედებებისა და ომის შედეგების შეფასებისა და ანალიზის გაკეთების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით
- კონფლიქტის სფეროებზე მომუშავე ჟურნალისტებისათვის და მედიის წარმომადგენლებისათვის შესაძლებლობების განვითარებაზე მიმართული ღონისძიებების ჩატარება.

## კონფლიქტის მხარეებს შორის მოლაპარაკებების, დიალოგისა და დისკუსიებში ჩართული სპექტრის გაფართოება.

საერთაშორისო თანამდგომლობით განხორციელებული “ჟენევის პროცესის” მოლაპარაკებები დღესდღეობით ერთადერთი ოფიციალური ფორმატია 2008 წლის აგვისტოს ომის კონფლიქტის მხარეებს შორის (აფხაზეთი, საქართველო, სამხრეთ ოსეთი და რუსეთი). ჟენევის მოლაპარაკებების პირველი რაუნდი ჩატარდა 2008 წლის ოქტომბერში, 2008 წლის 12 აგვისტოს, ევროკავშირის საფრანგეთის თავმჯდომარეობის შუამდგომლობით მიღწეული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიხედვით, რომელიც ხუთდღიანი საომარი მოქმედებების შემდეგ იქნა მიღწეული. ეს “საერთაშორისო დისკუსიები” გაეროს, ეუთოს და ევროკავშირის სრული მხადყოფნით დაიწყო და მათივე წარმომადგენლები იქ თანათავმჯდომარეებისა და ფასილიტატორების ფუნქციას ასრულებდნენ. ჟენევის დისკუსიებზე ჩამოყალიბდა ორი სამუშაო ჯგუფი: ერთი- კონფლიქტის დაზარალებულ რეგიონებში უშიშროებისა და სტაბილურობის საკითხებზე მომუშავე, ხოლო მეორე- იძულებით გადაადგილებული პირებისა და დევნილების საკითხებზე. ამ სამუშაო ჯგუფებში მოლაპარაკებები დაიწყო პირველი რაუნდის ეტაპზე და მოიცვა აფხაზი და სამხრეთ ოსელი მონაწილეები.

ამის შემდეგ, ჩატარდა ჟენევის მოლაპარაკებების თერთმეტი რაუნდი. ამ შეხვედრების მთავარი შედეგია ორმაგი “ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის” (იპრმ) ჩამოყალიბება, რომელიც საშუალებას იძლევა ქართველებისა და აფხაზების და შესაბამისად სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებთან შეხვედრების შესაძლებლობას. იპრმ ადგილობრივ დონეზე და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრების ახლოს უშიშროებასა და მშვიდობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებელი პირების ერთად შეკრებას უზრუნველყოფს. ამ ჩარჩოს დაემატა “ცხელი ხაზის” გახსნა მხარეებს შორის მუდმივი კომუნიკაციის არხის უზრუნველსაყოფად.

ჟენევის დისკუსიები ამასწინად გადავიდა მეორე ფაზაში, რომლის მიზანია უფრო განვითარებული უშიშროების რეჟიმისა და ჰუმანიტარული დაცვის ჩარჩოს უზრუნველყოფა რეგიონალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით. ამაში მდგომარეობს მიმდინარე დისკუსიების (ჟენევის დისკუსიებზე 2009 წლის ნოემბრის სესიაზე განხილული “ძალის გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ძირითადი ელემენტების” ირგვლივ) მიზანი.

ჟენევის მოლაპარაკებებს პრაქტიკული შედეგი ნაკლები ჰქონდა, ამასთან ერთად ეფექტურ და წარმატებულ მოლაპარაკებების პროცესს ბევრი ხელშემშლელი ფაქტორი უდგას წინ. მათ შორის:

- კონფლიქტის მხარეებს შორის მოლაპარაკებისა და კომპრომისის სურვილის ნაკლებობა, მათ შორის მათი დიამეტრულად განსხვავებული პოზიციები და ერთობლივი ინტერესების იდენტიფიცირებისა და ფორმულირების შეუძლებლობა;
- რუსული მხარის უარი, განიხილოს რუსეთის მიერ დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსი;
- საქართველოს მხარის უარი, ხელი მოაწეროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შესახებ ვალდებულებებს და მისი პოზიცია, რომ ასეთი ზავისა და დეკლარაციის ხელმოწერა შესაძლებელია მხოლოდ საქართველოსა და რუსეთს შორის;
- საქართველოს, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საზოგადოებაში კონფლიქტის გადაწყვეტილების სტრატეგიის ირგვლის საჯარო მსჯელობის არარსებობა;
- კონფლიქტის მხარეებს შორის დიალოგისა და საზღვრის ორივე მხარეს მცხოვრები ადამიანების შორის ხელშემწყობი კომუნიკაციის არსების ნაკლებობა.

**რეკომენდაციები:**

***სამოქალაქო საზოგადოებას:***

- კონფლიქტის გადაწყვეტილების სტრატეგიების ირგვლივ საჯარო დებატების ხელშეწყობა და მონაწილეობა;
- არსებული სიტუაციის შესახებ საზოგადოებისათვის და დონორებისათვის მიუკერძოებელი და იბიექტური ინფორმაციის მიწოდება;
- საქართველოს მთავრობისათვის სამშვიდობო პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და კონფლიქტის გადაწყვეტის ირგვლივ საჯარო დისკუსიებში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მიმართ არადისკრიმინაციული მოდგომის პროპაგანდა;
- კონფლიქტის გადაწყვეტაზე მიმართული ინოვაციური იდეების გენერირება და შეფასება, საერთაშორისო გამოცდილებიდან და კონფლიქტისაგან დაზარალებულ მხარეებთან პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე;
- მედიის წარმომადგენელთა ტრენინგი სამშვიდობო ინიციატივებში და მათი ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები.
- “III გზის” დიპლომატიის შესაძლებლობების განსაზღვრა და მონაწილეობა.

***საქართველოს მთავრობას***

- ობიექტური და ახალი ინფორმაციის მოცულობის გაზრდა სახელმწიფო დონეზე მიმდინარე კონფლიქტის გადაწყვეტაზე მიმართული პროცესების და კონფლიქტით დაზარალებულ ტერიტორიებზე არსებული სიტუაციის შესახებ.
- მოლაპარაკებების ამოცანების ჩამოყალიბება სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტებთან კონსულტაციის საფუძველზე და საქართველოს საზოგადოებასთან მათი გაზიარება და საზოგადოების მხრიდან მოწონება.
- საქართველოში კონფლიქტის გადაწყვეტის სტრატეგიებთან დაკავშირებით კონსენსუსის მისაღწევად ოპოზიციური პარტიების ჩართულობა.
- სამშვიდობო პროცესის გამყარების მიზნით ახალი კონტაქტებისა, ფორმაების და მოლაპარაკებების მოძიება და ინიცირება.

***საერთაშორისო დონორებს:***

- კონფლიქტის მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობა მონაწილეების სპექტრის (ექსპერტები, ახალგაზრდები, ქალები და ა.შ) გაფართოების პროპაგანდისა და ამაზე მიმართული ფონდების გაზრდის გზით.
- საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაში ანალიტიკური პოტენციალის ჩამოყალიბება კონფლიქტის სფეროში კვლევებისა და ანალიზის, კონფლიქტის გადაწყვეტისა და ნდობის დამყარების მეთოდოლოგიების კუთხით.
- საქართველოს, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთსა და რუსეთს შორის კონფლიქტების გადაწყვეტისა და რეკონსილიაციის სფეროში ცოდნისა და განოცდილების გაცვლის წახალისება.

## გამგლოლი თემები

ცხადია, რომ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ბევრ დაბრკოლებას აწყდებიან სამშვიდობო ინიციატივების პროცესში. ამ დოკუმენტში ყოვლის მოცვა შეუძლებელი იყო, ხოლო ზოგიერთი მათგანი უფრო ფართო თემებია და შეეხება რამდენიმე ან (თითქმის) ყველა აქ ჩამოთვლილ პრიორიტეტულ სფეროს.

ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თემაა საჯარო დებატების ნაკლებობა და აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებული აზრთა პლურალიზმი, პოპულარულ მედიაში თუ ექსპერტთა შორის. ეს ზღუდავს როგორც დამოუკიდებელი ექსპერტების, ასევე სახელმწიფო ორგანოების შემოქმედებითობას კონფლიქტის გადაწყვეტის ინოვაციური მიდგომების თვალსაზრისით. ასევე, ფართო საზოგადოებას (აღნიშნულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების ჩათვლით) არ აძლევას საშუალებას უკეთ გააცნობიეროს აქტუალური საკითხები. კერძოდ, ის ადამიანები, ვინც კონფლიქტსა და ომისაგან ყველაზე მეტადაა დაზარალებული, მოკლებულია საზოგადოების ყურადღებას და მედიის ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რამდენიმე კონცეპტუალური და სამოქმედო დოკუმენტი კონფლიქტის გადაწყვეტისა და მშვიდობის დამყარების თემაზე.<sup>10</sup> მათი უმრავლესობა მთავრობის შიგნით ან მასთან ახლოს დაკავშირებული ექსპერტთა ჯგუფების მიერ იყო შემუშავებული. მათი შემუშავებისა და კონცეფტუალიზაციის პროცესში გამჭვირვალობისა და სიაშკარავის ნაკლებობამ გარკვეული ხარვეზები კონცეფციაშივე გამოიწვია. გარდა ამისა, ისინი არაა მკაფიოდ დაკავშირებული და ძნელად შეთავსებადია ეროვნული განვითარებისა და უშიშროების სტრატეგიებთან, რომლის ბუნებრივ და განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდნენ. მეტიც, ასეთი დოკუმენტების გადასინჯვა და განხილვა რეგულარულად არ ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ ფაქტობრივად იცვლება სამშვიდობო პროცესის კონტექსტიც და შინაარსიც.

სამშვიდობო პროცესის ჩარჩოებში სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული ბევრი პროექტი იყო ერთჯერადი და ხანმოკლე, რაც მათ ეფექტურობას ამცირებს, რადგან პრობლემები, რომელზედაც ეს პროექტებია მიახლოებული, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ძირითადად ხანგრძლივია. ბევრ შემთხვევაში, დონორები ერიდებიან გრძელვადიან დაპირებებს, ხოლო სსო-ები ცდილობენ დაფინანსების მოდელთან მორგებას. ეს მიდგომა განმსაზღვრელია, როგორც პრობლემების აღმოფხვრა ან გადაწყვეტაში, ასევე სსო-ებისა და ექსპერტების პოტენციალის თვალსაზრისით და ინიციატივების მიღწევებსა და შედეგების მდგრადობას ამცირებს. ეს სირთულეები ზოგჯერ უფრო მეტადაც მძაფრდება, როდესაც დონორთა დაფინანსება და დახმარება გამჭვირვალობისა და კოორდინაციის ნაკლებობას განიცდის.

პროექტის მიზნების განხორციელებისას, განმახორციელებელი სააგენტოები ხშირად დაზარალებულ თემებთან (მაგალითად იგპ-ები) მუშაობენ ძალზედ სპეციფიკურ საკითხებზე და ფართო საზოგადოების პროექტში ჩართვის მნიშვნელობას ხშირად ივიწყებენ. ფართო მონაწილეობა მნიშვნელოვანია სოციალური სამართლიანობისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ინტეგრაცია ადგილობრივ დონეზე და გაზრდილი საჯარო თანადგომით უკეთესი შედეგების მიღწევა გახდეს შესაძლებელი. მეორე მხრივ, პროექტის საქმიანობა, სამშვიდობო ინიციატივების გარდა, ხშირად არ უთმობს საკმარის ყურადღებას ომით დაზარალებული ჯგუფების სხვა პრობლემებს.

როგორც წესი, ერთი ხშირად დავიწყებული ასპექტი არის დაზარალებული მოსახლეობის ყველაზე უმწეო და მოწყვეტილი ქვე-ჯგუფებისათვის დახმარების გაწევა. აქ იგულისხმება ქალები, რომლებიც სერიოზულად იზარებიან არა მხოლოდ შეიარაღებული კონფლიქტების დროს, არამედ საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგაც, აგრეთვე, მოხუცები, ბავშვები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები. ბავშვები და ახალგაზრდები მეტად ტრავმირებულიები არიან ხოლმე და თავინთი უფლებებით ვერ სარგებლობენ, ხოლო მოხუცებსა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ყველაზე მეტად უჭირთ საომარი მოქმედებების შედეგად დამდგარ სიტუაციასთან ადაპტირება.

<sup>10</sup> For an analysis of these documents see, in particular, the priority area on the Adjustment of Legislation, Strategies and Policies.

ამ დოკუმენტში განსაზღვრულ ყველა პრიორიტეტულ სფეროში მედია დიდ როლს თამაშობს., მაგრამ მედიის წარმომადგენელთა ქცევა ხშირად მათ პროფესიონალიზმთან, ცოდნასა და უნარებთან დაკავშირებით ეჭვებს იწვევს. მშვიდობაზე ორიენტირებული პროფესიონალური მედიის განვითარება საქართველოში კონფლიქტის ტრანსფორმირების შესაძლებლობის თვალსაზრისით აუცილებელია; თუმცა, ჟურნალისტების ქცევა, საუბარი და წერილები დღეს ხშირად მტრული განწყობის შექმნასა და არა კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტას უწყობს ხელს. ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ნამდვილად დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური მედიის ხელშეწყობის აუცილებლობასთან.

## აბრევიატურები

ABL	ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლი
CSO	სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია
ERW	ომის შემდეგ დარჩენილი ასაფეთქებლები
EU	ევროკავშირი
EUMM	ევროკავშირის მონიტორინგის მისია საქართველოში
IDPs	იძულებით გადაადგილებული პირები
INGO	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები
IPRM	ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმი
NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
OSCE	ევროპის უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია